*დანართი №1*

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „გამოყენებითი ფსიქოლოგია“

### ა(ა)იპ „ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი“

შეფასების თარიღ(ებ)ი: 24. 12.2024 – 15.02.2025

დასკვნის წარდგენის თარიღი: 1 მაისი, 2025

თბილისი

## შინაარსი


I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ... 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა ... 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან ... 7

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა ... 7

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა ... 12

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა ... 16

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა ... 17

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები ... 21

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | **ა(ა)იპ „ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი“**<br>არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204429341 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| **თავმჯდომარე** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | **ლილი ხეჩუაშვილი**<br>სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | **თამარ გვიანიშვილი**<br>შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად) | **გამოყენებითი ფსიქოლოგია** |
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად) | Applied Psychology |
| უმაღლესი განათლების საფეხური | II (მაგისტრატურა) |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | ფსიქოლოგიის მაგისტრი / Master of Psychology |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | ფსიქოლოგია / Psychology 0313 |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3] | - |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული<br><br>გადაწყვეტილება №42, 07/02/2019 |
| პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები) | - |

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის (შემდგომში - შესაბამისობის) შეფასების ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (შემდგომში - დაწესებულება) მიერ წარმოდგენილ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას „გამოყენებითი ფსიქოლოგია“ (შემდგომში - პროგრამა) 2019 წელს მიენიჭა აკრედიტაცია (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №42, 07/02/2019, იხ. https://eqe.ge/ka/decisions/9105/show).

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის მოყვანის პროცესში პროგრამის ცალკეული ასპექტები დარჩა უცვლელი (მაგ., პროგრამის დასახელება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია - „ფსიქოლოგიის მაგისტრი“; პროგრამის სტრუქტურა), გარკვეულმა ასპექტებმა კი ცვლილებები განიცადეს (მაგ., შეიცვალა მისანიჭებელი კვალიფიკაციის კოდი, შეიცვალა პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები). წარმოდგენილი პროგრამის ძირითადი მახასიათებლებია:

- პროგრამის სწავლების ენა: ქართული;
- პროგრამის სტრუქტურა: სასწავლო კომპონენტი (სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები) და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი);
- პროგრამის მოცულობა: 120 ECTS-ის კრედიტი (1 ECTS-ის კრედიტი = 25 სთ), მათ შორის: 60 კრედიტი - ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები, 30 კრედიტი - ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები (მათ შორის, სავალდებულო არჩევითი სასწავლო მიმართულების კურსები), 30 კრედიტი - კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი);
- სწავლების ხანგრძლივობა: 2 წელი (4 სემესტრი), წელიწადში – 60 კრედიტი (სემესტრში – 30 კრედიტი).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ბრძანებით (MES 8 24 0001618713, 17/12/2024) შექმნილ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს (ლილი ხეჩუაშვილი, თავმჯდომარე; თამარ გვიანიშვილი, წევრი) დაევალა ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (შემდგომში - დაწესებულება) მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „გამოყენებითი ფსიქოლოგია“ (შემდგომში - პროგრამა) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა, აღნიშნულზე დასკვნის შედგენა და ცენტრში წარდგენა.

ექსპერტებს მიეწოდათ დაწესებულების მიერ 2024 წლის 29 ნოემბრის წერილით №02-24/200 წარმოდგენილი დოკუმენტები, რომელთა შესწავლის პროცესში გამოიკვეთა დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვის და მათი შესწავლის საჭიროება. მოსაზრებების და მიგნებების გაცვლის შედეგად, ექსპერტები შეჯერდნენ შეფასების შედეგებზე და შეიმუშავეს წინამდებარე დოკუმენტი. „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შეფასებისათვის განხილული იქნა I და II სტანდარტები და IV სტანდარტი (4.1 და 4.2. ქვესტანდარტი)

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

წარმოდგენილი პროგრამა სრულ შესაბამისობაშია შეფასებულ I, II და IV სტანდარტებთან.

- **რეკომენდაციები**

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
    - სასურველია, რომ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება გეგმავს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ან მობილობით პროგრამაზე სტუდენტების მიღებას, მაშინ მიზანშეწონილია კურიკულუმში გაკეთდეს მითითება აღნიშნულის შესახებ.
    - სასურველია, რომ მეტი სიცხადისთვის პროგრამის კურიკულუმში, ასევე, იყოს მითითებული პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომის) შეფასების სისტემაც, კერძოდ კი FX-ის და F შეფასებებისთვის დადგენილი მოთხოვნები.
    - სასურველია დაკორექტრდეს „ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოში" (დანართი N4 „სილაბუსის შაბლონი (ვარიანტი 2)" არსებული ჩანაწერი: "0-1 ქულა: პასუხი საკითხის შესაბამისი არ არის ან საერთოდ არაა მოცემული".

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**[5]

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

---

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

## III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამას ექვსი მიზანი აქვს. მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია, პროგრამის მიზნები დაინტერესებული პირებისთვის ნათლად ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა, ასევე პროგრამის მიზნები ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის მოყვანის პროცესში განახლებულ იქნა პროგრამის მიზნები. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ჩამოყალიბდა ქვემოთ მოცემული სახით. პროგრამის მიზანია:

- სტუდენტს შესძინოს:
  - ღრმა და სისტემური ცოდნა ფსიქოლოგიაში, მათ შორის მართვის ფსიქოლოგიაში;
  - მართვის ფსიქოლოგიის (მათ შორის, საორგანიზაციო და პოლიტიკური ქცევის) თანამედროვე კონცეფციების, ძირითადი თეორიებისა და მიდგომების, ტენდენციების, თეორიული, მეთოდოლოგიური და კვლევითი პრინციპების სიღრმისეული ცოდნა.
- სტუდენტს გამოუმუშავოს:
  - ფსიქოლოგიის (მათ შორის, ორგანიზაციული ან პოლიტიკური ფსიქოლოგიის) სფეროში მიღებული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობაში ეფექტურად გამოყენების უნარი (ანალიზი, ექსპერტული შეფასება, კონსულტირება და კვლევა) და სპეციალობით საქმიანობისათვის აუცილებელი სხვა უნარები;
  - ანალიტიკური ხედვა და კვლევის, ეფექტური სტრატეგიების შემუშავებისა და ინტერვენციის პრაქტიკული უნარები (ანალიზი და სინთეზი; ეფექტური და დამარწმუნებელი კომუნიკაცია);
  - ფსიქოლოგიის დარგში აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით ინდივიდუალური კვლევითი პროექტების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები;
  - პროფესიული საქმიანობის ფსიქოლოგიის დარგობრივი ეთიკური სტანდარტების დაცვით განხორციელების უნარი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასებბის ანგარიში;
- პროგრამის კურიკულუმი.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**შეფასება**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.1 პროგრამის მიზნები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის პროცესში მოდიფიცირდა პროგრამის სწავლის შედეგები. თვითშეფასების ანგარიშისა და პროგრამის კურიკულუმის თანახმად, კურსდამთავრებულს უნდა ჰქონდეს შემდეგი კომპეტენციები:

ცოდნა გაცნობიერება

I. სიღრმისეულად აღწერს ფსიქოლოგიის, მათ შორის - მართვის ფსიქოლოგიის ძირითად დებულებებსა და პრინციპებს, კონცეფციებსა და თეორიებს, გამოკვეთს ფსიქოლოგიის სფეროსთვის დამახასიათებელ თანამედროვე მიდგომებს, მეთოდებსა და პრიორიტეტულ მიმართულებებს.

II. ფსიქოლოგიური პერსპექტივის გათვალისწინებით, სისტემურად განსაზღვრავს მართვის (მათ შორის, პოლიტიკურ/ორგანიზაციულ) პროცესებს, სიღრმისეულად აღწერს მართვასთან დაკავშირებული, პოლიტიკური/ საორგანიზაციო ქცევის თავისებურებებსა და ტენდენციებს.

უნარები

III. კრიტიკულად აანალიზებს ლიდერობის და მართვის (მათ შორის, პოლიტიკურ/ორგანიზაციულ) პროცესებს და აქტორებს, აფასებს მათ ფსიქოლოგიური თვალსაზრისიდან გამომდინარე.

IV. ფსიქოლოგიის სფეროში არსებული პრობლემების მრავალმხრივი ხედვისა და მათი კრიტიკული და შედარებითი ანალიზის საფუძველზე, სამეცნიერო კვლევით და პრაქტიკულ ნაშრომებზე დაყრდნობით, შეიმუშავებს პრობლემის გადაჭრის ორიგინალურ გზებსა და მიდგომებს.

V. კვლევის თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით, სისტემურად ამუშავებს და კრიტიკულად აანალიზებს თანამედროვე და კომპლექსურ პროფესიულ/აკადემიურ სამეცნიერო მიდგომებსა და ინფორმაციას, ემპირიული კვლევის საფუძველზე დამოუკიდებლად მოიპოვებს მონაცემებს, რაზე დაყრდნობითაც ინდივიდუალურად ქმნის ფსიქოლოგიის დარგში კვლევით ნაშრომს და აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას წერილობითი და ზეპირი ფორმით წარადგენს კვლევის შედეგებს.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

VI. პროფესიულ საქმიანობას წარმართვისას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით და ისწრაფვის პროფესიული ღირებულებების დასამკვიდრებლად.

VII. ზედმიწევნით იცავს პროფესიული, ფსიქოლოგიური ეთიკის სტანდარტებს ფსიქოლოგიური ინტერვენციისა და სოციალური ცვლილებების პროცესში და ფსიქოლოგიის სფეროში უახლესი სამეცნიერო მიღწევებზე დაყრდნობით დამოუკიდებლად განსაზღვრავს ცოდნის მუდმივად განახლებისა და პროფესიული ზრდის მნიშვნელობას.

ამრიგად, წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მნიშვნელოვნად შეიცვალა და განახლდა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები, რათა შესაბამისობაში მოსულიყო „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“.

წარმოდგენილ პროგრამას ცხრა სწავლის შედეგი აქვს. თითოეული მათგანი ფორმულირებულია ზმნების აწმყო ფორმის გამოყენებით და გაზომვადია, რაც შესაძლებელს ხდის სწავლის შედეგების მიღწევადობის შეფასებას მოქმედი რეგულაციებით დადგენილი სტანდარტების გათვალისწინებით.

პროგრამის ცხრავე შედეგი დეტალურად არის გაწერილი. თითოეული მათგანი ჩაშლილია ინდიკატორების მიხედვით და აღწერს კონკრეტულ კომპეტენციებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის კურიკულუმი.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**შეფასება**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **1.2 პროგრამის სწავლის შედეგები** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

დაწესებულებაში მოქმედი “ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოს” (“სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და შეფასება”, “საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით შეფასება”) თანახმად, პროგრამის შეფასებისთვის გამოიყენება როგორც არაპირდაპირი მეთოდები (მაგალითად, სტუდენტთა თვითშეფასება, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ფოკუს ჯგუფის გამართვა და დამსაქმებლების გამოკითხვა), ასევე პირდაპირი მეთოდები (მაგალითად, აკადემიური მოსწრების ყოველსემესტრული მონიტორინგი, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის კონტროლი).

დაწესებულებაში მოქმედი ზოგადი წესის თანახმად, აკადემიური მოსწრების კონტროლის მიზნით გამოიყენება სასწავლო კურსში ქულების განაწილება, რომელიც ეფუძნება ნორმალურ განაწილებას (გაუსის განაწილებას). „გაუსის/ნორმალური განაწილების“ მიხედვით კურსის ფარგლებში გამოიყენება ქულების გრადაცია: შეფასება A - შესანიშნავი - სტუდენტთა 10%, შეფასება B - ძალიან კარგი - სტუდენტთა 25%, შეფასება C - კარგი - სტუდენტთა 30%, შეფასება D - დამაკმაყოფილებელი - სტუდენტთა 25%; შეფასება E- საკმარისი - სტუდენტთა 10%. დასაშვები ცდომილება შეადგენს 5-10%-ს. ასევე, ზემოთ მითითებული წესის თანახმად, პროგრამას თითოეული სწავლის შედეგისთვის განისაზღვრება სამიზნე ნიშნულები (სავალდებულო სასწავლო კურსებისთვის).

სამიზნე ნიშნულისთვის რაოდენობრივი მაჩვენებლის განსაზღვრა ხდება ინდივიდუალურად პროგრამის ხელმძღვანელისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, ის უნდა ეფუძნებოდეს დაშვებას, რომ სასწავლო კურსის კომპონენტი, რომლითაც იზომება სწავლის შედეგის მიღწევა, უნდა დაძლიოს საშუალო აკადემიური მოსწრების სტუდენტმა. თუ რეალურად მიღებული მაჩვენებლები ნაკლები/მეტია დადგენილ მაჩვენებლებთან შედარებით და ცდომილება აღემატება დასავებს, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნულის გამომწვევი მიზეზების დადგენა და რეაგირება.

პროგრამის შეფასების მიზნით გამოიყენება წინასწარ შემუშავებული უნიფიცირებული ფორმები (“სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესების” და “ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოს” დანართები), მათ შორის შესაბამისობის დადგენის რუკები, კერძოდ,: წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, გამოიყენება ისეთი მექანიზმები, როგორიცაა პროგრამის მიზნებისა და შედეგების ურთიერთშესაბამისობის დადგენა (იხ. პროგრამის კურიკულუმი, „მიზნებისა და შედეგობრივი მაჩვენებლების რუკა“, გვ. 4), პროგრამის კომპონენტების როლი (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება) განსაზღვრა პროგრამის შედეგების ფორმირებაში (იხ. პროგრამის კურიკულუმი, “სწავლის შედეგების რუკა“ გვ. 13-14; თვითშეფასების ანგარიშის დანართი N2.1). ასევე, თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, გამოიყენება პროგრამის თითოეული მიზნისთვის შედეგების მიღწევის მტკიცებულებებისა და მათი მიღწევის შემფასებლების განსაზღვრა (იხ. თვითშეფასების ანგარიში, გვ. 13; თვითშეასების ანგარიშის დანართი N2.2), კერძოდ, თითოეული შედეგის შემთხვევაში განსაზღვრულია: (1) სწავლება-სწავლის მეთოდ(ებ)ი, რომლებიც უზრუნველყოფენ დაგეგმილი შედეგის მიღწევას, (2) შეფასების მეთოდ(ებ)ი, რომელთა გამოყენებით ხდება შედეგის მიღწების დადასტურება; (3) პირ(ებ)ი, რომლებიც ახორციელებენ შედეგის მიღწევის შეფასებას (მაგ., პროგრამის ხელმძღვანელი/ლექტორი/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური); (4) სამიზნე ნიშნულები -- რიცხობრივი მაჩვენებლები, რომელთა მიღწევის შემთხვევაში დადგენილი შედეგი შეიძლება ჩაითვალოს მიღწეულად (მაგალითად, სასწავლო კურსების შემთხვევაში, თუ სტუდენტთა არანაკლებ 75%-მა მიიღებს მაქსიმალური ქულის არანაკლებ 50%-ს, ხოლო სამაგისტრო ნაშრომის შემთხვევაში თუ სტუდენტთა არანაკლებ 85% მიიღებს მაქსიმალური ქულის არანაკლებ 61%-ს).

დაწესებულებაში მოქმედი წესის თანახმად, სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების შემაჯამებელი ანგარიშის მომზადება ხდება პროგრამის ერთი ციკლის დასრულების შემდეგ (2 წელიწადში ერთხელ).

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- თვითშეფასების ანგარიშის დანართები N2.1, N2.2.
- პროგრამის კურიკულუმი;
- „ხარისხისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო (დამატებით წარმოდგენილი);
- “უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები” (დამატებით წარმოდგენილი).

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**შეფასება**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- ➢ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- ➢ პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

---

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

„გამოყენებითი ფსიქოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული

მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამა მოიცავს 4 სემესტრს -- 120 კრედიტს (წელიწადში 60 და სემესტრში 30 კრედიტი). პროგრამას აქვს შემდეგნაირი სტრუქტურა:

- 60 ECTS – ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსები;
- 30 ECTS – ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები. ამასთან, სასწავლო კომპონენტის შეთავაზებული არჩევითი სასწავლო კურსების კრედიტების ჯამური რაოდენობა აღემატება არჩევითი ნაწილისთვის განსაზღვრულ მოცულობას, რაც უზრუნველყოფს არჩევანის შესაძლებლობას.
- 30 ECTS – კვლევითი კომპონენტი/სამაგისტრო ნაშრომი.

პროგრამა სულ შედგება 22 საგნისაგან, რომელთაგანაც 12 სავალდებულო საგანია, ხოლო 8 არჩევითი, ხოლო 2 სავალდებულო არჩევითი, რომელთაგანაც სტუდენტს უწევს აირჩიოს ერთ-ერთი.

წარმოდგენილი პროგრამის სტრუქტურა ლოგიკური და თანმიმდევრულია და სრულად უზრუნველყოფს პროგრამაში გაწერილი სწავლის შედეგების მღწევას. ასევე, პროგრამის შინაარსი, სწავლის შედეგები, პროგრამის დასახელება და მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია ერთმანეთთან.

საგნები, სემესტრების მიხედვით, განაწილებულია შემდეგი პრინციპით: პირველ სემესტრში სტუდენტები გადიან გაცნობითი ხასიათის საგნებს. ყოველ შემდეგ სემესტრში შეთავაზებული საგნების სირთულე იზრდება შინაარსობრივი თვალსაზრისით და ითვალისწინებს სხვადასხვა დისციპლინებს, როგორც პრერეკვიზიტებს შესაბამისი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. იმ საგნებზე დასაშვებად, რომელსაც გააჩნია დაშვების წინაპირობა სტუდენტს დადებითი შეფასება უნდა ჰქონდეს პრერეკვიზიტად მითითებულ შესაბამის საგანში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის კურიკულუმი.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**შეფასება**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- ➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ➢ ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული სავალდებულო და სავალდებულო არჩევითი კურსების შინაარსი და მოცულობა უზრუნველყოფს როგორც კურსის ფარგლებში განსაზღვრული სწავლის შედეგების, ისე -- პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული კურსის შინაარსი

შესაბამისობაშია სახელწოდებასთან, უზრუნველყოფილია მრავალფეროვანი და არსებული, ხელმისაწვდომი თანამედროვე ლიტერატურითა და სხვა საკითხავი მასალით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის ფარგლებში შეთავასებული კურსების სილაბუსები;
- პროგრამის აღწერილობა;
- სწავლის შედეგების ანალიზი.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**შეფასება**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | |
|---|---|---|
| | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☒ |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

თვითშეფასების ანგარიშისა და პროგრამის კურიკულუმის თანახმად, პროგრამაზე დაშვების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს: (1) ფსიქოლოგიის ბაკალავრის ან სოციალურ მეცნიერებათა. მათ შორის - სოციოლოგიის ან პოლიტიკის მეცნიერებათ, ბაკალავრის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხი; (2) 2) საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარება; (3) 3) შიდა საუნივერსიტეტო პროცედურის გავლა, რომელიც შედგება შემდეგი ეტაპებისაგან:

- დოკუმენტაციის ანალიზი: ამ ეტაპზე ხდება უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული საერთო სააპლიკაციო ფორმის შევსება, რომელიც მოიცავს აპლიკანტის პროფესიული ბიოგრაფიის შეფასებას;
- გამოცდის ჩაბარება ინგლისურ ენაში (Upper Intermediate B2 დონე ), ინგლისური ენის გამოცდის ჩაბარების ვალდებულებისგან თავისუფლდებიან ის დაინტერესებული პირები, რომლებსაც დასრულებული აქვთ ინგლისურენოვანი ბაკალავრიატის/მაგისტრატურის/დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ, ან წარმოადგენენ დოკუმენტურად დადასტურებულ ინფორმაციას/სერტიფიკატს (TOEFL (P/B 513 score; I/BT 87score); IELTS (5.5 Band); FCE; BEC Vantage; PTE (General level 3); PTE Academic (59p); Michigan ECCE), რომ მათ უდასტურდებათ ინგლისური ენის ფლობა არანაკლებ B2 - დონეზე.
- გამოცდა სპეციალობაში , რომლის მიზანია შეფასდეს აპლიკანტის ცოდნა ფსიქოლოგიის სფეროში. საგამოცდო საკითხების ნიმუში (ინგლისურ ენასა და სპეციალობაში) განთავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე

პროგრამის კურიკულუმში მკაფიოდ არის მითითებული მოთხოვნები მაგისტრანტობის კანდინატისადმი, ასევე არსებობს მითითება საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების აუცილებლობაზე. ამავდროულად, თუ დაწესებულება გეგმავს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ან მობილობით პროგრამაზე სტუდენტების მიღებას, მაშინ მიზანშეწონილია კურიკულუმში გაკეთდეს მითითება აღნიშნულის შესახებ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის კურიკულუმი.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია, რომ იმ შემთხვევაში, თუ დაწესებულება გეგმავს კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში და წესით საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ან მობილობით პროგრამაზე სტუდენტების მიღებას, მაშინ მიზანშეწონილია კურიკულუმში გაკეთდეს მითითება აღნიშნულის შესახებ.

**შეფასება**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშისა და პროგრამის აღწერილობის მიხედვით, პროგრამაში შეთავაზებულია შესაბამისი კურსები და, ასევე, ასახულია სწავლის შედეგების აღწერილობაში. კერძოდ, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტისთვის სამეცნიერო-კვლევითი (შედეგი N4 და N5), პრაქტიკული (შედეგი N3) და ტრანსფერული უნარების (შედეგი N6 და N7) განვითარებას.

ასევე, პროგრამაში, სხვადასხვა კურსში ჩაშენებული პრაქტიკის გარდა, შემოთავაზებულია სავალდებულო 30 კრედიტიანი სამაგიტრო ნაშრომი, რომლის ფარგლებშიც სტუდენტს უვითარდება კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და ჩატარების უნარები: ემპირიული მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის, კითხვარების შექმნისა და გამოყენების, თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზისა და კვლევის მიგნებების აუდიტორიისთვის დასაბუთებულად გაცნობის უნარები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით;
- პროგრამაში შეთავაზებული კურსების სილაბუსები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**შეფასება**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

